ხელშეკრულება N3-12

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ერთი მხრივ **სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“,** შემდგომში - შემსყიდველი, წარმოდგენილი სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის **ვახტანგ ბაკაშვილის** სახით და მეორე მხრივ **შპს „მანსარდ“** შემდგომში - მიმწოდებელი, წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ოკმელაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონსა და მის საფუძველზე გამოცემულ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, პროექტის - „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში, საინფორმაციო, საიმიჯო ხასიათის ვიდეო რგოლების მომზადების მომსახურების გაწევა დანართი N1-ის შესაბამისად (CPV-92111000) - შემდგომში მომსახურება.

2.2 შესყიდვის ობიექტის დანართი N1 (ტექნიკური დავალება) თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4990.00 (ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარს**, **დღგ-ს გარეშე.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და პირობები

4.1. მიმწოდებლის მიერ ვიდეო-რგოლების გადაღების დაწყება უნდა განხორციელდეს **2020 წლის 6 აგვისტოდან ,** ხოლო მზა ვიდეო-კლიპების ჩაბარება მიმწოდებლისთვის **2020 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.**

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

ა) მომსახურების გაწევის დროს განახორციელოს მომსახურების ხარისხისა და სხვა პირობების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის ინსპექტირება;

ბ) მოთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების თანდართული დანართის (დანართი N1) შესაბამისად გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

ბ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

გ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ზიანი.

დ) დროულად განიხილოს შემსყიდველის დასაბუთებული პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.

ე) არ გადასცეს მესამე მხარეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე.

მუხლი 6. ხარისხი

6.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია გაწეული მომსახურების ხარისხის, მიწოდების ვადებისა და სხვა კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ პირობებსა და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს და ინსპექტირების აქტს ხელს მოაწერს სსიპ "ახალგაზრდობის სააგენტოს" პროგრამების მართვის დეპარტამენტის II კატეგორ. უფროსი სპეციალისტი (ახალგაზრდული ღონისძიებების მიმართულებით) მაკა ზურაბიშვილი.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან/და ნაკლის ან/და ხარვეზის აღმოფხვრა.

მუხლი 8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

8.1. გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის (დადებითი დასკვნით) გაფორმების შემდეგ.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

8.4. გაწეული მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ პროგრამების მართვის დეპარტამენტის II კატეგორ. უფროსი სპეციალისტი (ახალგაზრდული ღონისძიებების მიმართულებით) მაკა ზურაბიშვილი.

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით ლარში, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ინსპექტირების აქტის (დადებითი დასკვნით) გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,02%- ის ოდენობით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილების შემთხვევაში

შემსყიდველს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.3. თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება 10 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 11.1 და 11.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს თანხის სრულად გადახდამდე და შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარმოდგენამდე, არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების ცვლილების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**

მუხლი 16. ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ

შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის დასრულებისთანავე.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მასზე ხელმოწერა ხორციელდება „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ 2017 წლის 21 აპრილის საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი:**
სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ **საიდენტიფიკაციო კოდი: 205382398** **მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ᵇ** **ტელ: 230 17 75;** **სახაზინო რეკვიზიტები:** **სახელმწიფო ხაზინა** **კოდი: TRESGE22** **ა.ა: 200122900**	**შპს „მანსარდ“** **საიდენტიფიკაციო კოდი: 406083321;** **მის. თბილისი, ქინძმარაულის შესახ.** **ტელ: 406083321** **Mail: okmela@gmail.com** **ტელ: 593919993** **საბანკო რეკვიზიტები:** **სს „თიბისი ბანკი“** **ბანკი კოდი: TBCBGE22;** **ანგ.N GE10TB7436736080100001**
სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე **ვახტანგ ბააკაშვილი**	**დირექტორი** **გიორგი ოკმელაშვილი**

დანართი N1

ტექნიკური დავალება

საიმიჯო ვიდეორგოლის აღწერა (მახასიათებლები)

ვიდეორგოლის მიზანია საზოგადოებაში ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება. ახალგაზრდული საქმიანობის პოპულარიზაცია და აღნიშული თემის მნიშვნელობისა და არსის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

- ვიდეოს ხანგრძლივობა უნდა იყოს 12 წუთამდე.
- ვიდეოში ჩაწერილი უნდა იყოს 5 ადგილობრივი და 2–3 საერთაშორისო ექსპერტი (ახალგაზრდული სფეროს მიმართულებით).
- სპიკერების ჩაწერა უნდა მოხდეს პავილიონში თეთრ/მწვანე ფონზე.
- ფონზე, ვიდეოს დამონტაჟების შემდეგ, უნდა მოხდეს სპიკერების საუბრის შესაბამისი გრაფიკული ვიზუალიზაცია.
- ვიზუალიზაციისას გამოყენებული უნდა იყოს 3D ელემენტები.
- აუცილებელია გადაღების დროს იყოს გამოყენებული იყოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვა: ვიდეო RED კამერები (მინიმუმ 2 კამერა), განათებები და ასევე, შესაბამისი ადამიანური რესურსი: გრაფიკოსი, გამნათებელი, რეჟისორი, მხატვარი, გრიმიორი, ოპერატორი (კრეატივი და მუსიკა).
- სრულ ვიდეოსთან ერთად საჭიროა თითოეული სპიკერის მოკლე 30 დან 60 წამამდე ვიდეოები და ვიდეოში გამოტანილი ვიზუალიზაციის სრული გრაფიკული მასალა (ფოტოფაილებად).
- შემსრულებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს ვიდეოს შავი მასალის მოწოდება.
- დასრულებული ვიდეორგოლი მოწოდება უნდა მოხდეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 10 აგვისტოსი.

ვიდეოს შინაარსის და სხვა ტექნიკური საკითხების განსაზღვრა უნდა მოხდეს დამკვეთთან შეთანხმებით.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ხელშეკრულება: N3-12 (2020წ)
მიმწოდებელი: შპს „მანსარდ“

მე, ქვემოთ ხელის მომწერი, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) შესაბამისად, ვადასტურებ, რომ **შპს „მანსარდ“** მიმართებაში ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ „სახალგაზრდობის სააგენტოს“
ხელმძღვანელის მოადგილე
ვახტანგ ბააკაშვილი _____